

სტანდარტის მეგობრული

ჩატომ უნდა გავხდეთ სტარტაპ მეგობრული?

იყო სტარტაპ მეგობრული ნიშნავს დაუმეგობრდე ჯეფ ბეზოს (amazon), სტივ ჯობს (apples), ლარი პეიჯს და სერგეი ბრინისნაირ (Google) ინოვატორებს, ხელი შეუწყო მათი სტარტაპების განვითარებასა და ბაზარზე დამკვიდრებას.

სტარტაპები დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მზარდი და დინამიური ნაწილია. იყო სტარტაპ მეგობრული ნიშნავს ხელი შეუწყო და დაეხმარო ინოვაციური იდეების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ეკონომიკის დინამიურ ზრდას და დაეხმარება საქართველოს გახდეს ინოვაციური იდეების გენერატორი მსოფლიო ბაზარზე.

იყო სტარტაპ მეგობრული არ ნიშნავს ქველმოქმედებას, ეს ნიშნავს ადრეულ მზაობას საერთო ორმხრივი ინტერესისთვის. შენ ხელს უწყობ სტარტაპს და ამავედროულად ხდები მომავალი რადიკალური ინოვაციის მონაწილე.

იყო სტარტაპ მეგობრული ნიშნავს იყო სტარტაპების გარემოცვაში, რაც გეხმარება გახდე თანამედროვე ტექნოლოგიური და ინოვაციური ტრენდების მიმდევარი და იმყოფებოდე “ინოვაციურ ტონუსში”.

სტარტაპ მეგობრულის ფარგლებში სტარტაპი ხდება არსებული კომპანიების არა საფრთხე და კონკურენტი არამედ მეგობარი.

სტარტაპ მეგობრულ კომპანიებს აქვთ საშუალება უპირატესობით ისარგებლონ სტარტაპების სოციალურში, რაც საერთო პროექტების შესრულების და არსებული პრობლემების ინოვაციური გზით მოგვარების საშუალებას მისცემთ.

იყო სტარტაპ მეგობრული სტატუსია, რაც პრივილეგიაა და არა ვალდებულება.

პროექტი სტარტაპ მეგობრული

სტარტაპ მეგობრული გულისხმობს, კერძო და საჯარო სექტორის მაქსიმალურ ჩართულობას სტარტაპების დასახმარებლად, სადაც საქართველოს ინმოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (სააგენტო) არის დამაკავშირებელი ორგანო.

პროექტის აღწერა

მსურველი სტარტაპები დარეგისტრირდებიან/დაუკავშირდებიან სააგენტოს და სააგენტო უზრუნველყოფს სტარტაპის დონის შეფასებას. სტარტაპები წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე გახდებიან სტარტაპ მეგობრულის ნაწილი (6 თვის ვადით) და ექნებათ საშუალება ისარგებლონ სტარტაპ მეგობრულის ფარგლებში არსებული უპირატესობით.

სააგენტო ასევე გააფორმებს მემორანდუმს იმ კომპანიებთან რომლებიც გამოთქვამენ მზაობას, რომ გახდნენ სტარტაპ მეგობრული. კომპანიები წარადგენენ ინფორმაციას იმ სპეც. პროდუქტებზე/სერვისებზე ან შეღავათებზე რითაც ისარგებლებენ სტარტაპები.

სტარტაპ მეგობრული საყოველთაო პროგრამაა, რომელიც ეხმარება ქვეყანაში მენარმული ეკოსისტემის განვითარებას, შესაბამისად წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გარეშე, მოლაპარაკების საფუძველზე კომპანიები გახდებიან სტარტაპ მეგობრულის წევრები.

საბოლოო მიზანი

ქვეყანაში საერთო სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები ბიზნესმენების წახალისება ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის.

პროექტის სტრატეგიული მიზნები

1. პროექტის არსებობამ ხელი უნდა შეუწყოს სტარტაპების განვითარებას და ბაზარზე დამკვიდრებას.
2. რაც შეიძლება მეტ კომპანიას გააცნოს სტარტაპები, იმისთვის რომ მაქსიმალურად მეტი კომპანია/დანესებულება ჩაერთოს მათი ხელშეწყობის პროცესში.
3. მიიღოს სოციალური პასუხისმგებლობის სახე და ნებისმიერი კომპანიისთვის გახადოს პრესტიჟული ამ პროექტში მონაწილეობა.
4. აღნიშნულმა პროგრამამ უნდა მოახდინოს იმ ადამიანების/კომპანიების მოტივირება, რომლებსაც სურთ მხარი დაუჭირონ ქვეყანაში მენარმული სულისკვეთების განვითარებას და დამწყებ ბიზნესს;
5. ცნობიერების შეცვლა: საზოგადოებისთვის პრიორიტეტული გახდეს სტარტაპების ხელშეწყობა

ბენეფიციარების ჩამონათვალი

სტანტაჟები:

3 კაციანი კომისია (2 ადამიანი სტრატეგიულიდან და 1 პიარიდან) გადანყვიტავს ვის მიენიჭოს სტარტაპის სტატუსი. სტარტაპ კომპანიას სააგენტო გადასცემს ტექნოპარკის ბარათს-რომელიც დაბრენდილი იქნება სტარტაპ მეგობრულის ლოგოთი. გაკეთდება სტარტაპ რეგისტრი, სადაც იქნება ინფორმაცია სტარტაპზე, სტარტაპის წევრებზე, და შესაბამის ინდუსტრიაზე.

კომპანიები:

კომპანიები ხდებიან სტარტაპ მეგობრულები და ხდებიან სოციალურად პასუხისმგებლიანი .

არსებულ სტარტაპ მეგობრულ კომპანიებს ექნებათ საშუალება უპირატესობით ისარგებლონ სტარტაპების სოციუმში, რაც საერთო პროექტების შესრულების და არსებული პრობლემების ინოვაციური გზით მოგვარების საშუალებას მისცემთ.

ფართო საზოგადოება

შეიქმნება სტარტაპული ეკოსისტემა, რაც ხელს შეუწყობს სტარტაპული აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოპულარიზაციას და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

ვებ-გვერდის კონსტრუქცია

არსებულ ვებსაიტს დაემატება ცალკე გვერდი, სახელწოდებით სტარტაპ მეგობრული, სადაც სტარტაპები და სტარტაპ მეგობრული კომპანიები დაჯგუფდებიან ინდუსტრიების მიხედვით. მოცემული იქნება სარეგისტრაციო

ბმული, სადაც კომპანიები, რომლებსაც სურთ რომ გახდნენ სტარტაპ მეგობრული შეძლებენ დარეგისტრირებას, ასევე მოცემული იქნება ბმული სტარტაპების რეგისტრაციისთვის.

კონკრეტულ კომპანიასთან კურსორით მისვლის შემთხვევაში მოცემული იქნება იმ სერვისების/პროდუქტების/შელავათების სია რაც ხელმისაწვდომი ხდება სტარტაპებისთვის.

ალტერნატიულად, შესაძლებელია გაკეთდეს იმ ეტაპების აღწერა, რასაც გადიან სტარტაპები (startup lifecycle) და თითოეულ ეტაპზე რა პროდუქტების/სერვისების/შელავათების გამოყენება შეუძლიათ მათ.


მარტის ღონისძიების კონსეფცია

გაიმართება დახურული ღონისძიება, სადაც 50 სტარტაპ მეგობრული კომპანია იქნება მონაწილე (პირობითად 13 მარტს). ღონისძიებას დაესწრება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ბ-ნი გიორგი გახარია. 50 სტარტაპ მეგობრული კომპანია ხელს მოაწერს მემორანდუმს და გადაეცემათ სტარტ მეგობრულის ატრიბუტები.

ჩვენი პირველი მხარდამჭერი-TBC ისაუბრებს თემის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე, დაპიჩავს რამდენიმე სტარტაპი.

მესიჯები:

- ბანკმა შეიძლება შესთავაზოს დაბალ პროცენტში კრედიტი, სახელფასო ბარათებზე სპეციალური ტარიფები, ინტერნეტბანკი იურიდიული პირებისთვის სპეციალური პირობებით და ა.შ
- კვების ობიექტებმა ლანჩ მენიუები სპეციალურად სტარტაპებისთვის შექმნილი ან გამოყონ მაგიდა სამუშაოდ

- 
- სადაზღვევო კომპანიებმა დაზღვევის პაკეტები მინიმალურ ფასად, როგორც ჯანმრთელობის, ასევე მანქანის
 - სასტუმროებმა (მაგ, რედისონი, ჰოლიდეი ინ) საკონფერენციო სივრცე დაუთმონ პრეზენტაციებისთვის და პატარა ღონისძიებების ჩასატარებლად უფასოდ
 - ბენზინ გასამართ სადგურებმა შეღავათიანი ბარათები საწვავის შესაძენად, სპეციალურად სტარტაპებისთვის შექმნილი
 - სამარშრუტო ტაქსის კომპანიებმა დააწესონ სპეციალური ბარათები რომლებიც შეღავათიან ფასად მოემსახურება სტარტაპერებს
 - მობილური ოპერატორები (მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი) შესთავაზონ სპეციალური ინტერნეტ და მობაილ პაკეტები
 - თბილისის სატრანსპორტო კომპანიაბმა (მეტრო, ავტობუსი, მარშუტკა) დააწესონ დაბალი ტარიფები, ან შექმნან ცალკე ბარათები.
 - ტურისტულმა კომპანიებმა შესთავაზონ დაბალი ფასები ფრენებზე
 - ჟურნალებში რუბრიკის გამოყოფა
 - წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები იყვნენ სტარტაპების კონსულტანტები და მერე საკურსო დანერონ სტარტაპებისთვის,
 - უნივერსიტეტების მოკლე ვადიან კურსებზე ფასდაკლებები რომ გაკეთდეს (ფინანსები, მარკეტინგი,...)
 - შოპინგ მოლებში, გამოიყოს ფართი სადაც სტარტაპებს შეეძლებათ გამოფენა, გაყიდვა
 - ინტერნეტ პროვაიდერებმა უზრუნველყონ სწრაფი ინტერნეტი შეღავათიან ფასებში (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდექსია easiness of doing business-ში და Genome-ის პროექტში)
 - არსებულმა კომპანიებმა გააკეთონ საერთო პროექტები, ან საერთო ხაზი იგივე/მსგავს ინდუსტრიაში მყოფ სტარტაპთან ერთად (open innovation, spin off with startup) ინტელექტუალური საკუთრების დაცვით.